



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 003858

08 გვიათურა 2022 წ.

ე თბილის

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მხმარი უზღებების ზედამხედვების დოკუმენტის ფორმის
შესრულებული მოწოდების მიზნების და გვარი, (შესრულებული მოწოდების მიზნების და გვარი)

ოქმის შედეგების თანამდებობა, სამედიდა და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „ჩისტიკი ლიფ კონსალტინგ“ კომპანიის (სსიპ 416 416311707)
მის მის სამსახურის განხდების სამსახური სამსახური; უმომავლეს მის მიზნი
მის უძრავი, განხდების უწეველი მიზანი, უმომავლეს უზრუნველყოფა.

სახელი, გვარი, მისამართი ფაქტობრივი / რეგისტრაციის მიხედვით; იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი,
მისამართი ფაქტობრივი / რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები) / დაზარალებულ(ები) (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

2022 წლის 08 ივნის 23 საათის 45 დროს სახლშენიშვნის კონსალტინგ კომპანიის მშენებელი არსებობა
(სსიპ 416 311707) გუბენის მიმდევარი მის მიზნი და გვარი, განხდების მიზნი
უმომავლეს უზრუნველყოფა, სამსახურის განხდების დროის შესრულების და გვარი და გვარი
მის მიზნი და გვარი, განხდების დროის შესრულების და გვარი, მის მიზნი და გვარი;
29-14 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
29-14 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
29-14 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
29-20 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
29-9 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
29-9 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
27-9 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
30-9 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი
41-9 გუბენის განხდების შესრულების და გვარი, განხდების მიზნი და გვარი

—
—
—


5. დარღვეულია საქართველოს მხედველობის უცხოური შემთხვევას შემთხვევაში კოდი 77-2
განხილვის 3 რეზიუმე 3767 ფუნქცია 2022 წლის 13 მეტებელი 2022 წლის 2 მეტებელი.

შესხვა, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): უცხოური 30 დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: ჯარი შეკითხვის 7200 (ლარი - ჯარიმის შემთხვევაში)
სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:



9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [REDACTED]

სახელი და გვარი

ხელშრევა

11. სამართალდამრღვევი:

სახელი და გვარი

ხელმოწერა

12. მოწმე:

სახელი და გვარი

ხელშრევა

13. დაზარალებული:

სახელი და გვარი

ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის: 2022 წლის 08

კოდექსის N 003858/მ მოთხოვთ.

საქმის გადასაწყვეტილ საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.: დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: ყველა შემთხვევაში ჩატარებული უფლებები კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისმგებელი მიცემულ პირს უფლება აქვთ გაეცნოს საქმის მასალებს, მისცემ ახსნა-განმრთებანი, წარადგინოს მტკაცებულებანი განაცხადოს შეაძლოს მომარტინობა; საქმის განხილვისას ისარგებლობა ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს შშმობილურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩინოოს საქმის გამო მოღეული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შედგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სამართლოში.

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:



დამკვეთი: საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექციის სამსახური.

დამამზადებელი: შპს კაბადონი+

სემგს-ს რეგისტრაციის № 11-5748

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევის განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისმგებელი მიცემულ პირს უფლება აქვთ გაეცნოს საქმის მასალებს, მისცემ ახსნა-განმრთებანი, წარადგინოს მტკაცებულებანი განაცხადოს შეაძლოს მომარტინობა; საქმის განხილვისას ისარგებლობა ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს შშმობილურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩინოოს საქმის გამო მოღეული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შედგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხდოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (განმობიდან) 30 დღის განაცლობაში. აღნიშნულ ვადის გარიმის შემთხვევაში სამართალდარღვევს დაერიცხება საურავი დაკასრებიდან 30 დღის ვადაში გადაიმიტოს მნ/და საურავის გადაწყვეტდღირის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმ სანქციისა და დარიცხული საურავის გადადის იძულებითი აღსრულება „სააღსრულდებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური**

მითითება № 003858/ო

08 აგვისტო 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 75-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შრომით ნორმებთას შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის (შემდგომში - „შრომის ინსპექცია“) შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [REDACTED] და პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (განყოფილების უფროსი) [REDACTED] მიერ 2022 წლის 08 ივნისს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“;

საიდენტიფიკაციო კოდი: 416311707;

გენერალური დირექტორი: გუოხუი ჩევანია;

იურიდიული მისამართი: ქვემო ქართლი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთავლია;

შემოწმებული ობიექტის მისამართი: ქვემო ქართლი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთავლია.

ეროვნული კლასიფიკატორი-24.20.0 (ფოლადის მილების, მილსადენების, ღრუ პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება.

დასაქმებული ქალი-9.

დასაქმებული მამაკაცი-57.

დასაქმებული ორსული-1.

დასაქმებული შშმ პირი-0.

დასაქმებული არასრულწლოვანი-0.

2022 წელს მთავარი შრომის ინსპექტორის 2022 წლის 08 ივნისის N LIO 5 22 00000010 ბრძანების საფუძველზე, 2022 წლის 08 ივნისს განხორციელდა შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“

არაგეგმური სრული ინსპექტორება, რაც ითვალისწინებდა დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრებასა და დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობა/გამოთხოვას.

აღნიშნული ინფორმაციის მოკვლევის მიზნით, საზედამხედველო ორგანოს მიერ დამსაქმებელი ორგანიზაციიდან გამოთხოვილ იქნა შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტები: შრომითი ხელშეკრულებები, შინაგანაწესი, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, მისი გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა/შევსება/დაზუსტების მიზნით, დამსაქმებლის მიმართ საზედამხედველო ორგანოს პქონდა პერიოდული წერილობითი და სატელეფონო კომუნიკაციის სახე.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლისა და შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი, ინფორმაციის/დოკუმენტაციის შრომით ნორმებთან ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, გამოლენილ დარღვევაზე გაიცა შემდეგი მითითებები:

Nº	გაცემული მითითება
1.	<p>დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი</p> <p>დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ცალკეული შრომითი ხელშეკრულებით, მაგალითად, [REDACTED] და [REDACTED] შრომითი ხელშეკრულებების (მათ შორის საწარმოში დასაქმებული ორსულის [REDACTED] შრომითი ხელშეკრულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სამუშაო დაწყების და დამთავრების დრო, აგრეთვე სამუშაოს დღეების რაოდენობა, განისაზღვრება შრომის კოდექსით დადგენილ ფარგლებში დამსაქმებლის მიერ დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის შესაბამისად“, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, „სამუშაო დღის განმავლობაში, შესვენების პერიოდი და ხანგრძლივობა, ასევე დასვენების დღეები განისაზღვრება დამსაქმებლის მიერ დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის შესაბამისად“.</p> <p>მოცემულ შემთხვევაში დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სამუშაო დროსთან მიმართებით გადამისამართებულია შრომის შინაგანაწესზე, ხოლო შინაგანაწესში არსებული ჩანაწერით გადამისამართებულია შრომით ხელშეკრულებებზე, კერძოდ შინაგანაწესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „დასაქმებულისათვის საწარმოს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის გამო, წარმოების/შრომითი პროცესის 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტი რეჟიმის არსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე, დაწესებულია შვიდ დღიანი სამუშაო კვირა - ორშაბათიდან კვირის ჩათვლით. <u>თითოეული</u></p>

დასაქმებულის სამუშაო დღის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით ან/და ცვლის განრიგით“.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობად მოიაზრებს სამუშაო დროს/დასვენების დროს და იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ იგი ზუსტად უნდა იყოს მითითებული უშუალოდ შრომით ხელშეკრულებაში. სამუშაო დროის/დასვენების დროის ცალკე შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობად გამოყოფა ემსახურება დასაქმებულთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კერძოდ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დასაქმებულის ინფორმირებას მისთვის შრომის კანონდებლობათ მინიჭებული უფლებების შესახებ და მეორე მხრივ, იცავს მას, რათა დამსაქმებლის მხრიდან თვითნებურად, ცალხრივად, დასაქმებულის ნების საწინააღმდეგოდ არ მოხდეს ხსენებული არსებითი პირობის ცვლილება.

სამუშაო დროის/დასვენების დროის გონივრული განსაზღვრება დასაქმებულისათვის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს, როგორც შიდა საკანონდებლო, ასევე საერთაშორისო სამართლის აქტებით. „**ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ**“ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის თანახმად, ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, ამ პირობებიდან ერთ-ერთი არსებითი კი დასვენების, თავისუფალი დროის და სამუშაო დროის გონივრული განსაზღვრებაა. თავის მხრივ, სამუშაო დროში მოიაზრება როგორც სამუშაო დღეების შესახებ ინფორმაცია, ასევე ყოველი სამუშაო დღისათვის სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/სამუშაო პროცესის 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტი რეჟიმია, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები, ასევე ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა 6 საათს აღემატება, დასაქმებულს წარმოეშობა შესვენების უფლება. შესვენების დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით (2016 წლის 19 აპრილის #2/565 გადაწყვეტილება) „**სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობის საკანონდებლო რეგლამენტიაცია სწორედ დამსაქმებელთა შეუზღუდავი დისკრეციისა და საკუთარი**

ძალაუფლებისა და დომინანტური მდგომარეობისათვის ერთგვარ ზღუდედ გვევლინება და განსაზღვრავს იმ საზღვრებს რომელთა ფარგლებშიც დამსაქმებელი თავისუფალია იმუქმედოს.“ ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო შეჯამების სახით აღნიშნავს, რომ „მაქსიმალური სამუშაო დროისათვის გარკვეული ლიმიტის დაწესება და მყარი რეგულაციების დადგუნა მნიშვნელოვანი გარანტიაა დასაქმებულისათვის. ის ემსახურება დასაქმებულთა ინტერესს, თავს გრძნობდნენ სტაბილურად, რომ არ მოხდება მათვის იმ ხანგრძლივობის სამუშაო დროის განსაზღვრა, რომელიც ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობას, მოუსპობს შესაძლებლობას, ღირსეულად წარმართოს საკუთარი პირადი ცხოვრება...“

განსახილველ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დათქმა სამუშაო/დასვენების დროის თაობაზე არის ზოგადი ჩანაწერი და იგი დასაქმებულისათვის არ წარმოადგენს ნათელ და ზუსტ განსაზღვრებას მისი სამუშაო გრაფიკის თაობაზე, რომელიც მას საშუალებას მისცემს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს და დაგეგმოს როგორც სამსახურებრივი, ასევე პირადი საკითხები. ამასთან, სამუშაო/დასვენების დროის შესახებ ინფორმაციის შინაგანაწესში განსაზღვრა სრულად ვერ უზრუნველყოფს კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან შინაგანაწესი წარმოადგენს ცალმხრივ დოკუმენტს, რომელსაც დამსაქმებელი უდგენს დასაქმებულს და მისი პირობების ცვლილება მხოლოდ დამსაქმებლის ნებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა დასაქმებულის უფლებების დაცვის მიზნით, ზუსტად გაჟოყო იმ პირობების ჩამონათვალი, რომელიც არსებითი ხასიათისაა და უშუალოდ შრომითი ხელშეკრულებით, მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს/შეიცვალოს. ამ პირობების ჩამონათვალში ერთ-ერთ პირობად განსაზღვრულია სამუშაო დრო და დასვენების დრო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი ხელშეკრულებებში ზუსტად და დეტალურად განსაზღვროს ინფორმაცია სამუშაო დროის (სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო) და დასვენების (მათ შორის - შესვენების) დროის თაობაზე.

2. დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“; |ვეპუნქტი

დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ცალკეული შრომით ხელშეკრულებში (მაგალითად: **და [REDACTED]** ასევე საწარმოში დასაქმებული ორსულის **[REDACTED]**)

[REDACTED] შრომითი ხელშეკრულებაში) არ არსებობს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის (მათ შორის, ზეგანაკვეთური სამუშაოს გამოანგარიშების კოეფიციენტის შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულებების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული თანხის გარდა, დამსაქმებელს არ

	<p>ეკისრება დასაქმებულისათვის რაიმე ჰონორარის, <u>საზღაურის</u>, პროცენტის ან <u>ნებისმიერი სხვა თანხის გადახდის ვალდებულება</u>".</p> <p>საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დასაქმებულისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ პროპორციული დამატებითი დასვენების დროს მიცემაზე. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულს დამატებითი დასვენების დრო უნდა მიეცეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.</p> <p>განსახილველ შემთხვევაში, ვანაიდან ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას, აუცილებელია აღნიშნულ პირობაზე მხარეები შრომითი ცურთიერთობის წარმოშობამდე შეთანხმდნენ და ეს პირობა გაიწეროს შრომით ხელშეკრულებებში.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია მხარეთა შეთანხმებით ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, როგორც შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა, განსაზღვროს უშუალოდ ყველა შრომით ხელშეკრულებებში.</p> <p>საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლი</p>
3.	<p>დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 14-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი</p> <p>დამსაქმებლის მხრიდან წარმოდგენილ ხელშეკრულებებში მაგ: 2021 წლის 1 თებერვლის [REDACTED], 2020 წლის 29 მაისის [REDACTED] და საწარმოში დასაქმებული ორსულის [REDACTED] 2020 წლის 1 ივლისის შრომით ხელშეკრულებების მე-7 მუხლში სრულყოფილად არ არის დარეცულირებული შვებულების საკითხი, კერძოდ არ ვხვდებით ჩანაწერს მძიმე, მავნე ან საშინელობებიან სამუშაოზე მომუშავეთათვის დამატებითი 10 კალენდარული დღით ანაზღაურებადი შვებულების განსაზღვრის თაობაზე.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე შვებულება წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას და იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ იგი ზუატად უნდა იყოს მითითებული უშუალოდ შრომით</p>

ხელშეკრულებაში. შვებულებია უფლების ცალკე შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობად გამოყოფა ემსახურება დასაქმებულთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კერძოდ, უზრუნველყოფს დასაქმებულის ინფორმირებას მისთვის შრომის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შესახებ.

2021 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების ცნობარში, შპს „რუსთავი სთლი კორპორეიშენ კომპანის“ მითითებულიაქვს შემდეგი კოდი 24.20.0. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის 2016 წლის მდგომარეობით 24.20.0. კოდი განეკუთვნება შემდეგ საქმიანობას: ფოლადის მიღების, მიღსადენების, ღრუ პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს შემდეს: 2007 წლის 3 მაისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №147/ნ დამტკიცდა, „მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა“, რომლის მე-8 თავი მოიცავს ლითონდამუშავებას, ხოლო 308-ე მუხლი მოიცავს ლითონის წარმოებას და აღნიშნულ წარმოებაში დასაქმებული პირების (პროფესიების) ჩამონათვალს, შესაბამისად შპს „რუსთავი სთლი კორპორეიშენ კომპანი“ განეკუთვნება მძიმე მავნე საშიშპირობებიან საწარმოს.

განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე შვებულების შესახებ ინფორმაცია მითითებულია ხელშეკრულებებში, აღნიშნული სრულად ვერ უზრუნვეყოფს კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 31 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძღვა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება – წელიწადში 10 კალენდარული დღე.“

სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა დასაქმებულის უფლებების დაცვის მიზნით, ზუსტად გამოყო იმ პირობების ჩამონათვალი, რომელიც არსებითი ხასიათისაა და უშუალოდ შრომითი ხელშეკრულებით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს/შეიცვალოს. ამ პირობების ჩამონათვალში ერთ-ერთ არსებით საკითხად განსაზღვრულია ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე შვებულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია შრომით ხელშეკრულებებში ზუსტად მიუთითოს ინფორმაცია ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე შვებულების დღეების ოდენობის შესახებ და გაწეროს სრულყოფილად საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 31 მუხლის შესაბამისად.

საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 31 მუხლის მე-3 ნაწილი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №01-126/ნ ბრძანება;

	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანება;</p>
4.	<p>დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი</p> <p>დამსაქმებლის მიერ მოწოდებული შრომის შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „<u>შვებულებაში მყოფ დასაქმებულთა სამუშაოს შესრულების მიზნით, შესაბამისი ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ამ სამუშაოს დროებით შესრულება შეიძლება დაევალოს ამავე განყოფილების სხვა დასაქმებულს, რაც დამატებით არ ანაზღურდება“.</u></p> <p>შესაბამისად დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმადაც <u>დამსაქმებელს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს შრომის არსებითი პირობები დასაქმებულთან შეთანხმების გარეშე</u> ხოლო შინაგანაწესში არსებული დანაწესი, ფაქტობრივად გამორიცხავს დასაქმებულის თავისუფალ ნებას. შეთანხმება არის აშკარად ცალმხრივი და ატარებს ფურმალურ ხასიათს, შესაბამისად არ არის მორგებული დასაქმებულის ნებელობის ელემენტზე.</p> <p>განსახილველ შემთხვევაში საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობა, შესასრულებელი სამუშაოს სახე და აღწერილობა წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთ მთავარ არსებით პირობას და მისი ცვლილება ყოველთვის შეთანხმებული უნდა იყოს მხარეებს შორის. შინაგანაწესში არსებული მსგავსი დათქმა აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას და დამსაქმებელს აყენებს პრივილეგირებულ მდგრამარეობაში დასაქმებულის ნების შეზღუდვით. წინამდებარე შინაგანაწესის გაცნობა და ხელმოწერა ვერ ჩაითვლება არსებით პირობებზე ცვლილების შეთანხმების წინმსწრებად, მომავალში წარმოშობილ ურთიერთობაზე, რადგან ყოველი ასეთი არსებითი პირობის ცვლილება თავად ამ ცვლილების განხორციელებამდე შეთანხმებული უნდა იყოს დასაქმებულთან.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია ყოველ ჯერზე ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილება განახორციელოს <u>მხოლოდ ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე</u>.</p> <p>საფუძველი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.</p> <p>5. დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი</p>

დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მუშაობის უწყვეტი რეჟიმის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად დასაქმებულთათვის შესვენების დრო განისაზღვრება; შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელთან შეთანხმებით“. ინსპექტირების დროს, რომელიც მოიცავდა ასევე დასაქმებულებთან გასაუბრებას გამოიკვეთა რომ დასაქმებულების სამუშაო დრო და დასვენების დრო არ არის დარეგულირებული საწარმოში, რადგან 12 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში ზოგიერთ შემთხვევებში ვერ ახერხებენ დასვენებას და საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე 60 წუთის ნაცვლად ისვენებენ 30 წუთი, ასევე თვალშისაცემია საწარმოს შესასვლელში განთავსებული სამუშაო გრაფიკი:

საწარმოში სამუშაო დრო

	ობიექტი	დრო
1	საკაზმი	07:20 – 19:40
2	საგლიონავი	08:20 - ბოლო ფეხის გადმოსხმამდე
3	ფოლად სადნობი	07:20 - ბოლო ფეხის გადმოსხმამდე

საქართველოს ორგანული კანის საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა 6 საათს აღემატება, დასაქმებულის წარმოეშობა შესვენების უფლება. შესვენების დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი“, მაგრამ აღნიშნული კანონისმიერი ჩანაწერი არ უნდა იქნეს დამსაქმებლის მიერ განამრტებული, ისე რომ, დასაქმებულისათვის რომელიც 8 საათი მუშაობს დღის განმავლობაში და დასაქმებული, რომელიც 12 საათის განმავლობაში მუშაობს შესვენების ხანგრძლივობის მიხედვით უზრუნველყოფილნი იყვნენ თანაბრად 1 საათიანი შესვენების უფლებით.

განსახილველ შემთხვევაში სამუშაო დროის კონსტიტუციური დაცვის ინტერესზე მსჯელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: „სამუშაო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის შრომის თავისუფლების ეფექტიანი რეალიზებისათვის. გადაჭარბებულად დიდმა სამუშაო დროის ხანგრძლივობამ, რომელიც არ აძლევს დასაქმებულს ნორმალურად დასვენებისა და ენერგიის აღდგენის შესაძლებლობას, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის ჯანმრთელობას ან ნორმალურ სოციალურ ყოფა-ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ დაიცავს ადამიანებს ასეთ პირობებში მუშაობისაგან, ის ფაქტობრივად აიძულებს მათ, იმუშაონ თავიანთი ჯანმრთელობის ან სოციალური (პირადი) ცხოვრებას ხარჯზე, ან დარჩნენ შემოსავლის გარეშე“. „გარდა ამისა, მისი მაქსიმალური ხანგრძლივობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია სწორედ დამსაქმებელთა შეუზღუდავი დისკრეციის და დომინანტური მდგომარეობისთვის ერთგვარ ზღუდედ გვევლინება და განსაზღვრავს იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც დამსაქმებელი თავისუფალია, იმოქმედოს.“ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამუშაო დრო

	<p>მჭიდრო კავშირშია მისი განმახორციელებელი პირების უსაფრთხო გარემოში მუშაობასა და მათ ჯანმრთელობასთან. უსაფრთხო, ჯანსაღი გარემო არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მხოლოდ სამუშაოს შესრულების ადგილის უსაფრთხოება. <u>არაგონივრულად ხანგრძლივი სამუშაო დრო გავლენას ახდენს პირის შრომით უნარზე, იწვევს გადაოლას, რაც უარყოფითად აისახება დასაქმებულის ჯანმრთელობაზე.</u>“</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია შრომის შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს შრომის კოდექსთან, კერძოდ გაწეროს საქართველოში დასაქმებული პირების მიმართ ცელის/დასვენების ხანგრძლივობა და უზრუნველყოს ნამუშევარი დროის პროპორციულად შესვენების დროის მიცემა.</p> <p>საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება</p>
6.	<p>დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი</p> <p>საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია.</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოება შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, ამ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით დადგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა უნდა მოიცავდეს არანაკლებ ამ წესით განსაზღვრულ მონაცემებს, თუმცა დამსაქმებელი უფლებამოსილია, მიუთითოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან აღრიცხოს სამუშაო დრო ნებისმიერი სხვა ფორმით ამ წესით დადგენილი მინიმალური მონაცემების გათვალისწინებით.</p> <p>დამსაქმებლის მიერ ინსპექტორების დროს წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტი არ მოიცავს ხსენებული ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მონაცემს. კერძოდ, წარმოდგენილ დოკუმენტში მათითებული არ არის დღის განმავლობაში ნამუშევარი საათები, კერძოდ დოკუმენტში არ ჩანს დღეში რამდენ საათს მუშაობს დასაქმებული, აგრეთვე, დასვენების და უქმე დღეები არ არის აღნიშნული „X“ სიმბოლოთი. აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს ისეთ სავალდებულო მონაცემებს, როგორიცაა თვის პირველ და მეორე ნახევარში ნამუშევარი საათების ჯამი, თვის განმავლობაში დასვენების, უქმე დღეებში</p>

	<p>ნამუშევარი საათების ჯამური რაოდენობა, თვის განმავლობაში დროებითი შრომისუნარობის პერიოდის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების (საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის) პერიოდი, თვის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის, ბავშვის მოვლის გარეშე ანაზღაურებადი შვებულების პერიოდი, ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დღეთა ჯამური რაოდენობა, მათ შორის, ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულების პერიოდი, ასევე არ არის მითითებული დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შევსებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა და ამ პირის ხელმოწერა და სხვ. მინისტრის ზემოაღნიშნული სრმანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში არის მოცემული აღნიშვნები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული ფორმის შევსების დროს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გ-გაცდენა; ✓ ს/ფ-საავადმყოფო ფურცელი, ✓ შ-ანაზღაურებადი შვებულება; ✓ უხ/შ-ანაზღაურების გარეშე შვებულება; ✓ X- დასვენების და უქმე დღეები. <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად, აწარმოოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, ასევე მასში აღრიცხოს კანონდებლობით დადგენილი ყველა სავალდებულო მონაცემი და უზრუნველყოს დოკუმენტის დასაქმებულებისათვის გაცნობა.</p> <p>საფუძველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანება</p> <p>7. დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტი</p> <p>დამსაქმებლის მიერ ინსპექტორების დროს წარმოდგენილი შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობისას, დასვენებისა და უქმე დღეებში, შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთვრების შემდეგ დასაქმებულის მუშაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ხელმძღვანელი. ამ შემთხვევაში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და შრომის ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.</p> <p>აღნიშნული ჩანაწერიდან დგინდება, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების თაობაზე დამსაქმებელი იტოვებს უფლებამოსილებას გამოიძახოს ნებისმიერი დასაქმებული და ამუშაოს ზეგანაკვეთურად და აღნიშნულის თაობაზე არ სჭირდება შეთანხმება დასაქმებულთან, მათ შორის შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთვრების შემდეგ.</p>
7.	10

შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც, „ზეგანაკვეთური სამუშაო არის **მხარეთა შეთანხმებით** დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს. არასრულწლოვანის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის ხანგრძლივობა სამუშაო დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ჯამურად – 4 საათს“.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრავს დასაქმებულის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შერულების ვალდებულების მხოლოდ 2 შემთხვევას დასაქმებულის თანხმობის გარეშე. აღნიშნული შემთხვევები ასახულია შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმადაც „დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური საძუშაო“:

- ა) **სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ზეგანაკვეთური ანაზღაურების გარეშე;**
- ბ) **საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ზეგანაკვეთური ანაზღაურებით.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის თანახმად, კანონმდებელი საჯალდებულოდ განსაზღვრავს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროს, არამარტო დასაქმებულის სავალდებულო თანხმობას სამუშაოს შესრულებაზე, არამედ ზეგანაკვეთური სამუშაოს შერულების დავალების თაობაზე დასაქმებულის წინასწარ ინფორმირებულობას. კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, „დამსაქმებელი ვალდებულია 1 კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს შესასრულებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, დამსაქმებლის ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე, მისი გაფრთხილება შეუძლებელია“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროს გაითვალისწინოს დასაქმებულის ნება აღნიშნული სამუშაოს შესრულების თაობაზე და არ დაავალდებულოს დასაქმებული იმუშაოს ზეგანაკვეთურად, თუ ადგილი არ ექნება შრომის კოდექსით დადგენილ სავალდებულო გარემოებას, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების თაობაზე.

საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

8. დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლი

დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო აღრიცხვის ფორმით და ხელფასის უწყისებით დასტურდება, რომ დასაქმებულებს ცალკეულ შემთხვევებში უწევთ ზეგანაკვეთურად მუშაობა, მაგალითად, [REDACTED] 2022 წლის მაისის თვეში იმუშავა ორი უქმე დღე - 12 მაისი და 26 მაისი, რომელიც დამსაქმებლის მიერ არ იქნა მიჩნეული ზეგანაკვეთურ ნამუშევარ საათებად და არ ანაზღაურდა (ზეგანაკვეთურად) გაზრდილი ოდენობით, ასევე დამსაქმებელის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სამსახურის ინტერესებიდან კამომდინარე, აუცილებლობისას, დასვენებისა და უქმე დღეებში, შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დასაქმებულის მუშაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ხელმძღვანელი. ამ შემთხვევაში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და შრომის ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

განსახილველ შემთხვევაში შრომის შინაგანაწესიდან ირკვევა რომ არასამუშაო დღეებში დასაქმებულის მუშაობას და ანაზღაურების წესს განსაზღვრავს თავად დამსაქმებელი, რაც საქართველოს შრომის კოდექსთან შეუსაბამოა, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება **მხარეთა შეთანხმებით**. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად.

საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით (მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დასაქმებულისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. დასაქმებულს დამატებითი დასვენების დრო უნდა მიეცეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.) დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათები (მათ შორის უქმე დღეებში ნამუშევარი საათები) ჩათვალოს ზეგანაკვეთურ შრომად და აანაზღაუროს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტი

9. **დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 პუნქტი**

ცალკეულ პოზიციებზე დასაქმებულების შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია ფიქსირებული ხელფასით. აღნიშნულის მიუხედავად, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ხელფასის უწყისებით და საძუშაო დროის აღრიცხვის ფორმით დასტურდება, რომ ზოგიერთი დასაქმებულებისათვის ხელფასი დაანგარიშება ხდება მათ მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი საათების/დღეების მიხედვით, მაგალითად, დასაქმებულის [REDACTED] შემთხვევაში, დასტურდება, რომ 2020 წლის 30 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მისი ფიქსირებული ხელფასი შეადგენს **750 ლარს** გადასახადების გარეშე. აღნიშნულის მიუხედავად, 2021 წლის დეკემბრის, 2022 წლის იანვრის და თებერვლის თვის ხელფასის უწყისის მიხედვით, მისი შრომის ანაზღაურება გამოანგარიშებულია არა ფიქსირებული ანაზღაურებიდან, არამედ ფაქტობრივად ნამუშევარი საათების/დღეების მიხედვით და სამივე თვეში ანაზღაურებულია **470.40 ლარი**, რაც ფიქსირებულ ხელფასზე ნაკლებია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლიდ, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. ეს წესი არ ვრცელდება ამ კანონის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ იქნებითი განაცდურის ანაზღაურებაზე“

ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გამოთვლა მოახდინოს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად და ყოვილი დაყოვნებული დღისთვის გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

სახდელის სახე:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ამ კანონით (გარდა ამ კანონის 47-ე-50-ე მუხლებისა) ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19-24-ე, 53-ე, 72-ე-77-ე, 82-ე და 85-ე-119-ე მუხლებისა) გათვალისწინებული ნორმის დარღვევის შემთხვევაში თითოეული დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას, დღის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის (გარდა ფიზიკური პირისა) შემთხვევაში, რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 500 000 ლარს აღემატება, – **არანაკლებ 600 ლარის** ოდენობით, მაგრამ **არაუმეტეს 1 000 ლარისა.**

საქართველოს შრომის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი - „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, ჩადენილი არასრულწლოვანის, ორსული ქალის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ – გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი **ჯარიმის ორმაგი ოდენობით.**

ხსენებული სამართლებრივი დანაწესებისა და იმ ფაქტობრივი გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქმის წარმოების შესწავლისას გამოვლინდა, რომ საწარმოში დასაქმებული იყო **არასრულწლოვანი** მძიმე მავნე და საჭიშპირობებიან სამუშაოზე, რომელიც 2020 წლის 20 ივნისის წერილის თანახამად და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით საწარმოში აღარ მუშაობს, ასევე საწარმოში დასაქმებული **ორსული ქალის** შრომითი ხელშეკრულების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, შესაბამისად სახდელის სახედ განისაზღვრა ჯარიმა.

კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენის მიზნით, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომლის საპასუხოდ ამავე უწყების 2022 წლის 13 ივნისის N 21-11/52988 წერილით დადგინდა, რომ შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ (ს/ნ416311707) წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განსახოციელებელი დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 500 000 ლარს.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, საქმეში არსებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, განსაზღვრულ იქნა საქართველოს შრომის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **მინიმალური ჯარიმა 600** (ექვსასი) ლარის ოდენობით, თუმცა ვინაიდან წინამდებარე 9 მითითებიდან 3 მითითება გაცემულია **ორსული ქალის მიმართ** ჩადენილი დარღვევის საფუძველზე, საქართველოს შრომის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული 3 დარღვევისათვის სახდელის სახედ უნდა განისაზღვროს ორმაგი ოდენობით 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარი, ხოლო დანარჩენი 6 მითითებისათვის სახდელის სახედ საქართველოს შრომის

კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე განისაღვრება ერთმაგი ჯარიმა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, ჯამში 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარი, შესაბამისად დადგენილი 9 დარღვევისათვის საადელის სახედ გამოყენებული ჯარიმის საერთო ოდენობა შეადგენს - ჯამში 7 200 (შვიდი ათას ირას) ლარს.

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაცვის შემოწმების განმახორციელებელი შრომის ინსპექცია, გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტში აღინიშნება ორგანიზაციის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:


- მითითება შესრულდა;
- მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.


მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

ახსნა-განმარტება მითითებასთან დაკავშირებით:

სამართალდამრღვევი პირის მიერ მიღითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:



სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის, უფლებამოსილი პირ(ები)ის ხელმოწერა:



სამართალდამრღვევის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა:

